ღვთისმშობლის სავანე მახათას მთაზე

აწყურის ღვთისმშობლის ხატი

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის სიტყვა, წარმოთქმული მახათას მთაზე, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის მშენებარე ტაძრის საძირკვლის კურთხევისას

„მარად ქალწული მარიამი გამოირჩა ღვთისაგან, რათა ყოფილიყო დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გახდა მფარველი საქართველოსი და საქართველო – მისი წილხვედრი ქვეყანა. დიდია სულიერი ღვაწლი ღვთისა დედისა! ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი დედა არის მფარველი მთელი მსოფლიოსი, მაგრამ განსაკუთრებით იფარავს იგი თავის მამულს – საქართველოს! ღვთის განგებით, საქარ-თველო შეიქნა დედა ღვთისმშობლის წილხვედრი, რადგან მაცხოვარი ხედავდა, რომ ჩვენი ქვეყანა შეინარჩუნებდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მტკიცედ და შეურყვნელად დაიცავდა მართლმადიდებლობას! ღვთისათვის კაცთა მომავალი იგივეა, რაც ჩვენთვის – აწმყო. წარსულიც, აწმყოც და მომავალიც უფლისათვის აწმყოა და რადგან მან განჭვრიტა ჩვენი ერის მომავალი, ღირსი გაგვხადა ამისა. ვმადლობთ უფალს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იფარავს ჩვენს ქვეყანას და ყოველ ადამიანს“.

21 სექტემბერი, 2011 წელი

მახათას მთაზე, თბილისში, შენდება ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და სავანე. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში: ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში... წმიდა სამების ტაძრის შემდეგ ეს არის ქართველი ხალხის მეორე ავტოპორტრეტი.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი

ღვთისმშობლის სავანე მახათას მთაზე

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობამ ოდითგანვე განუსაზღვრა ქართველ ერს უდიდესი პასუხისმგებლობა, ყოფილიყო ერთგული ჭეშმარიტი სარწმუნოებისა. ქართველი ერის ისტორიაც სწორედ ჭეშმარიტების სიყვარულისა და მისი დაცვისათვის თავგანწირვის ისტორიაა.

საეკლესიო გადმოცემით, მაცხოვრის ამაღლების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა სახარება. ზეციურ დედოფალს წილად ხვდა ივერიის ქვეყანა, ანუ საქართველო. უფლის ბრძანებით, დედა ღვთისა დარჩა იერუსალიმში, ხოლო საქართველოში წარმოგზავნა მოციქული ანდრია პირველწოდებული და თან გამოატანა თავისი ხელთუქმნელი ხატი, რომელსაც შემდგომში აწყურის ღვთისმშობელი ეწოდა. ასევე უფალმა ბრძანა, რომ ეს ხატი იქნებოდა ღვთისმშობლის წილ, ანუ მის ნაცვლად მცველი ჩვენი ერისა ვიდრე უკუნისამდე ჟამთა.

დროთა განმავლობაში ღვთისმშობელმა, თავისი მფარველობის დასტურად, კიდევ ერთი უდიდესი სიწმინდე არგუნა ივერიელთ – ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სასწაულებრივად განერიდა ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლთა დევნას და ასევე სასწაულებრივად მიბრძანდა ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში. ამ ხატს ეწოდა ივერიის ღვთისმშობელი და დაეკისრა აწყურის ხელთუქმნელი ხატის მსგავსი მისია – დაეცვა მართლმადიდებლობა, ამჯერად უკვე ათონის მთაზე, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამ სიწმინდის ზღვიდან გამობრძანების პატივი ღვთისმშობელმა წილად არგუნა ივერიელთა მონასტერში სიწმინ-დით გამორჩეულ ბერ გაბრიელს.

ათონის ივერთა მონასტერმა იტვირთა უდიდესი მისია, ყოფილიყო არა მხოლოდ სულიერი მოღვაწეობის ცენტრი, არამედ მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა უცხოეთში. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქრისტიანობის, როგორც საქართველოს ცივილიზა-ციური არჩევანისა და ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ხელშეწყობის

საქმეში და დიდად განაპირობა ქართველთა ეროვნული იდენტობის შენარჩუნება. „ივერონი“ საქართველოსათვის იქცა ხიდად ქვეყნის წარსულსა და მომავალს შორის, რათა ქართულ ერთობას შეენარჩუნებინა ჭეშმარიტი რწმენა და დაეცვა ეროვნული ღირებულებები.

სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, ჩვენივე ცოდვების გამო, ვერ შევძელით შეგვენარჩუნებინა წმინდა სავანე ათონის მთაზე. თუმცა სინანული, რომელიც თავისი სულიერი წინამძღოლის დაუღალავი შრომით ქართველმა ერმა გამოავლინა, უნაყოფო არ ყოფილა. ამ სინანულის ქმედითი გამოვლინებაა ელიას მთაზე საქართველოს მართლმადიდებელთა ერთსულოვნებით წმინდა სამების საკათედრო ტაძრის აშენება და ასევე, მთელი ერის ძალისხმევით მახათას მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ახალი სავანის მშენებლობა, რომელიც იქნება ღვთისმშობლის წილხვდომილი ერის მიერ ღვთის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის გათავისება და აღიარება.

საზოგადოება „ივერიისა“

ღირსი მამა გაბრიელ ათონელის ხატი

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა ღვთისმშობლისადმი

დედაო ღვთისა, გარდამოიხილე ჩვენზე და გვაცხოვნე ჩვენ!

ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, პატრონო ივერიისაო, ბრწყინვალე ვარსკვლავო ცისკრისაო, მზეო ქვეყანისაო, აღმატებულო ანგელოზთაო, შემწეო ყოველთა დავრ-დომილთა და შეჭირვებულთაო, მამისაგან უფლის დედად გამორჩეულო და მფარველო ორთავ სოფლისაო, მოწყალე თვალით გარდამოიხილე შენს წილხვედრ მამულს – საქართველოსა ზედა და ურიცხვთა ცოდვათა ჩვენთა შენდობა შესთხოვე ყოვლადწმიდასა სამებასა – მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. წყალობითა შენითა კვლავ აღგვადგინე, მშიერნი დააპურე, შიშველნი შემოსე, საპყრობილესა შინა მყოფნი განათავისუფლე და სიმართლის გზაზე დააყენე; უძლურნი განკურნე, მტირალთ ნუგეში ეც, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიეც და სულიერად აღამაღლე, ასაკოვანნი სიბრძნით აღავსე და მათი შთამომავალნი კეთილ-დღეობით გაახარე.

დედაო მოწყალეო, მოგვეც სიმტკიცე რწმენისა, სასოება, შიში ღვთისა და შეუორგულებელი სიყვარული ეკლესიისა და მოყვასისა, ერთგულება მამულისა და ქართული ენისა, მოგვმად-ლე გული წმინდა და სული წრფელი, გონება მახვილი და ღრმა, სხეული ჯანსაღი და უვნებელი; განამტკიცე ოჯახები ქართველთა და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლით; აღავსე ბეღელნი ჩვენი პურითა და ვენახები ჩვენი – ყურძნითა, განამრავლე მოსავალი მიწისა და მონაგები პირუტყვთა.

ღვთისმშობელო დედაო, შეცთომილნი ძენი და ასულნი ივერიისანი ჭეშმარიტების გზაზე დააყენე, უცხოეთში მყოფი ქართველნი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე; მტრად მოსულნი უცხო ტომნი ჩვენს უვნებლად თვისავ ქვეყანასა შინა განაწესე, ხოლო ჩვენ,

მკვიდრთა საქართველოისთა, მოგვეც ძალი ურთიერთთანადგომისა, რათა მწუხარეთა თანა ვტიროდეთ და შევეწეოდეთ მათ, ხოლო მხიარულთა თანა ვიხარებდეთ.

დედაო მარიამ, ერი ქართველთა, მთავრობა, მხედრობა და ეკლესია ჩვენი სულიერად შეჰკარ და აღდგენილსა მამულსა შინა ჩვენსა ერთ განუყოფელ სამწყსოდ ღვთისა დაადგინე; ტაძრად შენდა ჰყავ საქართველო და ხილულ და უხილავ მტერთაგან კეთილსურნელ იათა მახვილითვე მარად დაიცევ.

მერმეცა გევედრები, რათა შეეწიო მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა ახლობელთა და წინაპართა და სულნი მათნი შენის მეოხებით სავანესა მართალთასა დააწესე.

განუზომელია წყალობა შენი ჩვენ ზედა, ღვთისმშობელო დედაო, დიდებასა და მადლობასა გწირავთ შენ, მეოხო ჩვენო, შენს ფერხთა ქვეშ განვაფენთ გულთა ჩვენთა და კანდლად აღგინთებთ ლოცვასა ჩვენსა; ზეცისა სასუფეველიდან ვიდრე საქართველომდე, ვითარცა ფიანდაზსა დაგიფენთ სიყვარულსა ჩვენსა და მთელის ქვეყნის ყვავილებით განვამშვენებთ მას.

მუხლმოდრეკით შეგთხოვ, არ განგვშორდე არც ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და სრულიად საქართველო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მარჯვენით დაადგინე, რათა შენთანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა – მამასა, ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სასურველია ამ ლოცვის ყოველდღიურად წაკითხვა

ღვთისმშობლის სავანის მშენებლობის მოკლე ისტორია

2002 წელს მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II–მ დააფუძნა „ივერიის ღვთისმშობლის ხატის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდი“, რომელსაც მახათას მთაზე უნდა განეხორციელებინა ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. ამ ფონდს მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით 2002 წელს სათავეში ჩაუდგა ბატონი გია ყარყარაშვილი. ფონდმა საქმიანობა დაიწყო ათონის ივერთა მონასტრის ქტიტორების – იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ტაძრის მშენებლობით, რომლის საძირკველიც 2005 წელს აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. საძირკვლის კურთხევაში მონაწილეობა მიიღო ათონის მთის სხვადასხვა მონასტრიდან ჩამოსულმა 13 ბერმა. მათ ტაძრის საძირკველში ჩააყოლეს ივერიის მონასტრის მიწა და სიწმინდეები სხვა მონასტრებიდან. ათონელი მამების - იოანეს, ექვთიმესა და გიორგის ტაძრის მშენებლობა დასრულდა 2006 წლის 18 ოქტომბერს. ფონდის წევრები ყოველწლიურად მოილოცავდნენ წმინდა მთას, რათა ივერიის ღვთისმშობლისა და ათონის სხვა სასწაულთმოქმედი ხატების მეოხებით მახათას მთაზე დაწყებული მშენებლობა ღვთის სათნოდ წარმართულიყო. ფონდის დაკვეთით ათონის მთაზე დაიწერა და საქართველოში ჩამობრძანდა სასწაულთმოქმედი ხატების ასლები: ღვთისმშობლისა (მსწრაფლშემსმენელი, სამხელა, ღირს არსი), წმინდა გიორგისა და ივერონის ქტიტორების – იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა.

2010 წელს მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის პროცესში ჩაერთო სრულიად საქართველო და შეიქმნა ფონდი „ივერიისა“. ამ საქმის ახალი ეტაპის ხელმძღვანელობა დაევალა ბატონ პაატა ბურჭულაძეს. 2016 წლიდან, მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, ფონდის საქმიანობას სათავეში ჩაუდგა ბატონი გიორგი თავაძე, რომელიც 2002 წლიდან იყო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ხატის ასლი

შექმნილია ქტიტორთა სათათბირო, რომლის წევრები არიან:
ელდარ შენგელაია – კინორეჟისორი;
გურამ დოჩანაშვილი – მწერალი;
მერაბ კოკოჩაშვილი — კინორეჟისორი;
ანზორ ერქომაიშვილი – საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი;
ლია სტურუა – პოეტი, ფილოლოგი;
ლაშა თაბუკაშვილი – მწერალი, ფილოლოგი;
დავით ლორთქიფანიძე – არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ—კორესპონდენტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი;
ზაზა აბაშიძე – ისტორიკოსი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი;
ნინო სუხიშვილი – სუხიშვილების სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი;
რუსუდან ფეტვიაშვილი – მხატვარი;
გიორგი თევდორაშვილი – ჟურნალისტი, გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორი;
კოტე ჯანდიერი – მწერალი, სცენარისტი;
ნიკოლოზ რაჭველი – დირიჟორი, კომპოზიტორი;
ლევან კოღუაშვილი – კინორეჟისორი, სცენარისტი;
ნინო ქაჯაია – ჟურნალისტი;
ეკა კვაჭანტირაძე – ისტორიკოსი, წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ—ქართული სკოლის დირექტორი, პროფესორი.
ივერიის ღვთისმშობლის ხატის მშენებარე ტაძრის, კარიბჭისა და სამონასტრო კომპლექსის პროექტის ავტორი და მთავარი არქიტექტორი გახლავთ ბატონი ომარ ნაფეტვარიძე, ხოლო იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების უკვე აშენებული ტაძრის პროექტის თანაავტორია ბატონი რევაზ ჯანაშია.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძრის საძირკველი იკურთხა 2011 წლის 21 სექტემბერს. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ათასობით ადამიანმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ტაძრის საძირკველში ჩასაბრძანებლად მიიტანა ქვები, რომლებზეც მათი ოჯახის წევრების სახელები იყო დაწერილი. მშენებლობა დაიწყო 2012 წელს. 2015 წლის 21 სექტემბერს ტაძარზე აღიმართა ჯვარი. 2016 წლის მაისში ტაძრის სამრეკლოზე საქართველოში ჩამოსხმული ზარები დაიკიდა.

2016 წლის აპრილში მშენებარე ტაძრისათვის, ფონდის დაკვეთით, ათონის მთაზე დაიწერა და საქართველოში ჩამობრძანდა ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ასლი და საგანგებოდ შექმნილი ღირსი მამა გაბრიელ ათონელის ხატი.



როგორ მივიღოთ მონაწილეობა ღვთისმშობლის სავანის მშენებლობაში

ღვთისმშობლის სავანეს მთელი საქართველო და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები ერთიანი ძალისხმევით ვაშენებთ. ეს მშენებლობა არის მადლიერების გამოხატულება და ძღვენი ჩვენი ერის ზეციური მფარველისადმი. სავანე სამონასტრო მოღვაწეობასთან ერთად შეითავსებს ასევე საგანმანათლებლო ფუნქციას.

სავანის მშენებლობაში მონაწილეს ევალება:

- ლოცვა სავანის მშენებლობაში სრულიად საქართველოს მოსახლეობის გაერთიანებისათვის;
- ხელი შეუწყოს ტაძრის მშენებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და ყველა დაინტერესებული პირის ჩართვას ამ საქმეში;
- ყოველთვიურად, შესაძლებლობის ფარგლებში, გაიღოს შესაწირავი ტაძრის მშენებლობისათვის.

მშენებლობაში გაერთიანებისათვის საჭიროა:

- შევავსოთ ანკეტა, სადაც უნდა ჩავწეროთ ჩვენი პირადი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია, ჩვენი ოჯახის ცოცხალი და გარდაცვლილი წევრების სახელები;
- ანკეტის შევსება შეიძლება საქართველოში მოქმედი ყველა ბანკის ფილიალში, ასევე საზოგადოება „ივერიისას" ვებგვერდზე ან ცხელ ხაზზე – 2 14 04 84, ონლაინ რეჟიმში (შევსებული ანკეტის მიწოდებას ადრესატამდე უზრუნველყოფს ბანკის სამსახური, ხოლო ვებგვერდზე შევსებული ანკეტა თავად უნდა გადავაგზავნოთ საზოგადოება „ივერიისას" ელ-ფოსტაზე).

საქართველოში მოქმედ ყველა ბანკში გახსნილია საზოგადოება „ივერიისას" (ს/კ: 404868318) ანგარიში.

შეწირულობის ჩასარიცხად საჭიროა:

- მივიდეთ ყოველთვიურად ჩვენთვის სასურველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში და საზოგადოება „ივერიისას" ანგარიშზე გადავრიცხოთ სასურველი თანხა ან ვისაც აქვს ბანკში ანგარიში და სტაბილურად ერიცხება თანხა (ხელფასი ან პენსია), საკმარისია ერთხელ მისვლა, რათა გააფორმოს ხელშეკრულება ავტომატური დავალების მომსახურეობაზე.
- ვებგვერდით და ონლაინ რეჟიმით თანხა შეიძლება ჩაირიცხოს დისტანციური საბანკო გადარიცხვის (ინტერნეტ ბანკინგი) საშუალებით შემდეგ რეკვიზიტზე:

  სს „თი ბი სი ბანკი": TBCBGE22
  ანგარიშის ნომერი: GE96TB7005555555555555
  მიმღები: საზოგადოება „ივერიისა" (ს/კ: 404868318)

- საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი ოპერატორიდან შესაძლებელია დავრეკოთ ტელეფონზე: 0901777777. ზარის ღირებულებაა 1 ლარი.

თანხის შემოწირულობა ხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

ანკეტაში მოხსენიებული ყველა ადამიანი გახდება ტაძრის სრულუფლებიანი აღმშენებელი. იქმნება წიგნი, რომელიც ტაძარში დაიდებს ბინას და რომელშიც ტაძრის ყველა აღმშენებლის გვარ-სახელი ჩაიწერება. აგრეთვე, გვარ-სახელები აიტვირთება საზოგადოება „ივერიისას" ვებგვერდზე.

ანკეტის ფორმა

ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მსურველი პირის გვარი, სახელი, მამის სახელი:
.....

პირადი ნომერი, მისამართი: .....

ტელეფონი:.....

ელ. ფოსტის მისამართი: .....

ცოცხლები გვარი, სახელი	გარდაცვლილები გვარი, სახელი

შემომწირველად ვწევრიანდები:

- ინდივიდუალურად
- ორგანიზაციიდან (მიუთითეთ ორგანიზაციის სახელი) .....

.....

თარიღი: ..... ხელმოწერა:.....